საინფორმაციო ბიულეტენი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ქართველი და ოსი ხალხების საერთო პრობლემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

British Embassy Tbilisi

ბიულეტენი გამოქვეყნდა საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, ბრიტანეთის საელჩო არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის თებერვალში და მარტში საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური დახმარებით ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები შიდა ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ეთნიკურად ოსი მოქალაქეების საკუთრებისა და მოქალაქეობის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ცენტრის წარმომადგენლები ადგილობრივ საჯარო მოხელეებს, სტუდენტებსა და მოსახლეობას ორგანიზაციის მიერ ექსპერტთა გუნდთან ერთად მომზადებულ კვლევის შედეგებს აცნობდნენ, რაც რეკომენდაციებთან ერთად ასახულია ანგარიშში - **„კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“.**

შეხვედრა ბაკურიანში ეთნიკურად ოს მოქალაქეებთან

1 მარტს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს დაბა ბაკურიანში მცხოვრებ ეთნიკურად ოს მოქალაქეებთან.

შეხვედრისას გამოიკვეთა ბაკურიანში არსებული სისტემური პრობლემები, რაც უკავშირდება საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას.

შეხვედრისას მოქალაქეებმა განაცხადეს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთში გაღვივებული ეთნიკური კონფლიქტის გამო, ისინი განიცდიდნენ შევიწროებას

ნაციონალისტური, აგრესიული ჯგუფების მხრიდან. ამიტომ იძულებით გადაადგილდნენ უცხოეთში, ძირითადად - რუსეთის ფედერაციაში. წლების შემდეგ კი, როცა ვითარება დასტაბილურდა, დაბრუნდნენ დაბა ბაკურიანში. იძულებით გადაადგილებისა და ლტოლვილობის პერიოდში ბაკურიანსა და მიმდებარე სოფლებში საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მათ მიტოვებული ჰქონდათ, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდგომ გააგრძელეს ამ ნაკვეთებით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ამ ნაკვეთებს ამუშავებენ და 90-იან წლებში გაცემული საკუთრების დამადასტურებელი საბუთებიც აქვთ, საჯარო რეესტრში ვერ ახერხებენ სხვადასხვა სტატუსის მქონე უძრავი ქონების დარეგისტრირებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ეთნიკურად ოს მოქალაქეებს, რომლებიც გასული საუკუნის ეთნოკონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ, სახელმწიფომ პრიორიტეტულად და გამარტივებული წესით უნდა დაუკანონოს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ამავე დროს, როგორც შეხვედრისას გამოიკვეთა, დაბა ბაკურიანში საკუთრებაში არსებული მიწების რეგისტრაციაზე პრობლემები მხოლოდ ეთნიკურად ოს მოქალაქეებს არ ექმნებათ. ბაკურიანის მცხოვრებლები საუბრობენ ზოგად და სისტემურ პრობლემაზე, რაც თანაბრად ეხება ყველას, ვისაც 90-იანი წლების ე. წ. მიწის რეფორმის დროს ბაკურიანში და მიმდებარე სოფლებში სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა სხვადასხვა სტატუსის მქონე მიწები, მაგრამ ამ დროისთვის შეჩერებულია ან გაძნელებულია ამ ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, რეგისტრაციის პროცესის შეფერხება შესაძლოა, განპირობებული იყოს დაბა ბაკურიანში მიწების შესყიდვით დაინტერესებული სამშენებლო კომპანიების და მათი ბიზნესის უკან მდგომი გავლენიანი სახელისუფლებო წრეების ვიწრო მერკანტილური ინტერესებით. შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია, შეისწავლოს მსგავსი კორუფციული რისკები და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილებები მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესში მოქალაქეთა სამართლებრივ დახმარებას და ადვოკატირებას.

შეხვედრა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან

15 მარტს ქალაქ ახმეტაში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ახმეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულები, მათ შორის - ეთნიკურად ოსი მოქალაქეებით დასახლებული სოფლებიდან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ალეკო ცქიტიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში -

„კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“. ანგარიშში გამოკვეთილია ორი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც უკავშირდება ეთნიკურად ოსი პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესს და საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს მიღებული კანონის - „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ აღუსრულებლობას.

ანგარიშზე მუშაობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, ასევე საქმეების წარმოებისას საჭირო ცნობების მისაღებად, კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 1989-1992 წლებში (და არა მარტო ამ პერიოდში) რეგულარული ხასიათი ჰქონდა ახმეტის მუნიციპალიტეტიდან ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მიგრაციას, ძირითადად - რუსეთში, ქალაქ ვლადიკავკაზში. უმეტესმა ნაწილმა ნებაყოფლობით გაყიდა საკუთრებაში არსებული სახლები, ნაწილი კი, ვისაც სახლ-კარი აქვს, დღემდე რეგულარულად ჩამოდის საქართველოში. ახმეტის მუნიციპალიტეტში (კერძოდ - სოფლებში: კუწახტა, ქორეთი, წინუბანი, დუმასტური, ქვემო ხალაწანი, ჩაჩხრიალა, საბუე, არგოხი, ფიჩხოვანი, ახალშენი, კოჯორი, ახშნის ველები, არაშენდა) ცხოვრობდა სულ 823 ეთნიკურად ოსი ოჯახი, საცხოვრებელი სახლი გაყიდა და მუნიციპალიტეტი დატოვა 471 ოჯახმა. ამჟამად მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 352 ოჯახი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო ტლაშაძემ შეხვედრისას განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტები ფლობდნენ, ამუშავებდნენ და აანალიზებდნენ ასეთი სახის სტატისტიკურ ინფორმაციას. სამწუხაროდ,

ზოგიერთ მუნიციპალიტეტს, სადაც მსგავსი მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა, ასეთი სახის სტატისტიკა და შესაბამისად - საჯარო ინფორმაცია არა აქვს.

მერის რწმუნებულებმა ისაუბრეს 90-იანი წლების კონფლიქტის რეზონანსზე ახმეტის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად ოსი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში. ზოგიერთი სოფელი კონფლიქტის მიმდინარეობისას და შემდეგ პერიოდში მთლიანად ან ნახევრად დაიცალა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი იძულებით გადაადგილებული ოსების ნაწილი დაუბრუნდა საკუთარ სახლ-კარს, ნაწილი კი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, მაგრამ ინარჩუნებს კავშირს საქართველოსთან და აქ მცხოვრებ ნათესავებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გაჩაღებული კონფლიქტის შედეგები დღესაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება არა მხოლოდ ახლანდელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არამედ იმ რეგიონებშიც, სადაც დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სტერეოტიპები და ფობიები. არ არის შესწავლილი ეთნიკურად ოსი მოქალაქეების საჭიროებები და ზარალი, რაც მათ მიადგათ ეთნოკონფლიქტის პარალელურად განვითარებული შევიწროებისას და დევნისას.

როგორც შეხვედრისას გამოიკვეთა, ახმეტის მუნიციპალიტეტშიც არსებობს მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. თუმცა, ეს პრობლემები საერთოა ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. სახელმწიფო ცდილობს ეს პრობლემები აღმოიფხვრას, მაგრამ რეგისტრაციის პროცესი ჯერჯერობით რთულად და გაჭიანურებულად მიმდინარეობს.

შეხვედრა სტუდენტებთან გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში

24 მარტს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრის მთავარი თემა იყო ქართველი და ოსი ხალხების დიალოგი და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ გაჩაღებული კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ალეკო ცქიტიშვილმა ისაუბრა ადამიანის უფლებათა ცენტრის მისიაზე და ხედვაზე, ასევე, ორგანიზაციის მიერ შიდა ქართლის რეგიონში განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებზე, მათ შორის: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესზე, კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებებსა და პრობლემებზე, ქართველი და ოსი ხალხების დიალოგის, ნდობის აღდგენისა და შერიგების პერსპექტივაზე

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო ტლაშაძემ სტუდენტებს გააცნო ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში - „კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“, რომელიც

საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოქვეყნდა. ანგარიშის თანახმად, აუცილებელია, მთავრობის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იყოს განხილული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის კომპენსაციის/რესტიტუციის და მოქალაქეობის მინიჭების საკითხის მოგვარება. ასევე, მნიშვნელოვანია, დროულად ამოქმედდეს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია და განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, რის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში, მოხდება დაზარალებულთა ქონების რესტიტუცია, ან შესაბამისი კომპენსაცია. სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია 2006 წელს მიღებული კანონის იმპლემენტაციის - რესტიტუციის და კომპენსაციის პროცესის დაწყების მნიშვნელობაზე ნდობის აღდგენის და შერიგების პროცესში, რის შესახებაც ანგარიშშიც არის ხაზგასმული. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ აუცილებელია, ხელისუფლებამ გაიაზროს, რომ რესტიტუციის პროცესის რეალური და ეფექტიანი წარმართვა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების ფორმალურად შესასრულებლად, არამედ პირველ რიგში - სამართლიანობისთვის, ხალხებს შორის ნდობის აღდგენისთვის და შერიგებისთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სხვადასხვა ქვეყანაში აორგანიზებს სამმხრივი დიალოგის შეხვედრებს, ქართველი, აფხაზი და ოსი სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის მონაწილემ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა, მედეა პავლიაშვილმა თავის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. მისი თქმით, კონფლიქტით გამოწვეული ტრავმები, სტერეოტიპები და შიშები იმდენად ღრმად არის გამჯდარი საზოგადოებაში, რომ საერთო

შეხვედრისას თავდაპირველად შესამჩნევია დაძაბულობა და დისტანცია, მაგრამ მალევე შეხვედრის მონაწილეები ბევრ საერთო ინტერესს პოულობენ და ერთმანეთს ემეგობრებიან. ასე იყო სტამბოლის შეხვედრაზეც, როცა ენის ბარიერმაც კი ვერ შეუშალა ხელი ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდების დამეგობრებას. თავისი შთაბეჭდილებების შესახებ მედეა პავლიაშვილი ასევე ვრლად საუბრობს HUMANRIGHTS.GE-ზე გამოქვეყნებულ ბლოგში - ენის ბარიერი არ არსებობს!

სტუდენტებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებათა ცენტრმა გორის სახელმწიფო ბიბლიოთეკას გადასცა ბეჭდური გამოცემები, მათ შორის - ანგარიში

„კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

დისკუსიისას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნიკოლოზ ჯაბახიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს დემოკრატიული განვითარება და ეკონომიკის წინსვლა, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს და აფხაზებს უფრო მეტად გაუჩენს სურვილს, საქართველოს სახელმწიფოს დაუკავშირონ თავიანთი სამომავლო განვითარება. ამავე დროს, აუცილებელია, საქართველომ გაითვალისწინოს და გამოასწოროს ის შეცდომები, რაც დაშვებული იყო აფხაზ და ოს ხალხებთან კონფლიქტის დროს.

სტუდენტები დაინტერესდნენ, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება რამდენად არის მზად, ჩაერთოს რესტიტუციის და კომპენსაციის საკითხების გადაწყვეტის პროცესში, ვინაიდან კანონის თანახმად, ქონების რესტიტუცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ და დევნილ ქართველ მოსახლეობასაც უნდა შეეხოს. თანაც, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რაოდენობა, ზოგიერთი ქართული სოფელი რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მთლიანად დაანგრიეს და ამ დანაშაულებს ამჟამად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იძიებს. შესაბამისად, დღესდღეობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქონების რესტიტუცია ძალიან რთული, ფაქტობრივად - შეუძლებელი იქნება დე ფაქტო ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, დროულად დაიწყოს რესტიტუციის და კომპენსაციის პროცესი, თუნდაც მხოლოდ იმ ტერიტორიაზე არსებული ქონების რესტიტუციით, სადაც საქართველოს იურისდიქცია მოქმედებს. გზადაგზა, დეოკუპაციის კვალდაკვალ, შესაძლებელი იქნება ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოქალაქეების ქონებრივი უფლებების ადღგენაც. კონფლიქტით დაზარალებულ მოქალაქეებს არ დაუკარგავთ იმედი, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს დარღვეული უფლებების და სამართლიანობის აღდგენას.

შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში

29 მარტს თელავში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს შეხვდნენ. თელავის მერიაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ თელავის მერის მოადგილე, მერიის ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი და თელავის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულები, მათ შორის - ეთნიკურად ოსი მოქალაქეებით დასახლებული სოფლებიდან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ალეკო ცქიტიშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში - „კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი“, რომელიც საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოქვეყნდა.

ანგარიშზე მუშაობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, ასევე საქმეების წარმოებისას საჭირო ცნობების მისაღებად, კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული პასუხით ირკვევა, რომ 1989-1992 წლებში და მის შემდგომ პერიოდში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტის ან/და საქართველოს სხვა რეგიონებში, ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაპირისპირების შედეგად, 250 კაცმა დატოვა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯუღაანი. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუღაანში ეთნიკური ოსების მიერ ქონება არ არის მიტოვებული. ისინი პერიოდულად ჩამოდიან საკუთარ საცხოვრებელ სახლებში. ამავე დროს, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ან საკრებულოსთვის ქონების რესტიტუციის მოთხოვნით არავის მიუმართავს. ეთნიკურად ოს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში პერიოდულად ჩამოდიან, ბინადრობის უფლება არ აქვთ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ცხინვალის რეგიონში გაღვივებული კონფლიქტის შედეგად, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ოსი

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, მიეტოვებინა საკუთარი სახლები და გადაადგილებულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში - ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც დიდმა ნაწილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ამის გამო, დაკარგეს საქართველოსთან მოქალაქეობაზე დამყარებული კავშირი, მაგრამ შეინარჩუნეს ემოციური კავშირი, ასევე ურთიერთობა საქართველოში დარჩენილ ახლო ნათესავებთან. დღესდღეობით მათ ნაწილს აქვს სურვილი, კვლავაც იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. ისინი ცდილობენ, გამოიყენონ შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად, მაგრამ ამ პროცესში აწყდებიან სხვადასხვა დაბრკოლებას.

მერის რწმუნებულებმა ისაუბრეს 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგებზე და თანმდევ პრობლემებზე თელავის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად ოსი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში. საუბარი ასევე შეეხო კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქართველ დევნილებს, რომლებმაც რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის გამო, იძულებით დატოვეს სახლ-კარი და გადაადგილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. დასახელდა ერთ-ერთი დევნილი ოჯახის მაგალითი, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტამდე ცხინვალის რეგიონის სოფელ ზნაურში ცხოვრობდა და ამჟამად მის სახლში რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ძალების შტაბია განთავსებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ნინო ტლაშაძემ ისაუბრა კანონის - „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ მნიშვნელობაზე. ამ კანონის მიღების დეკლარირებულ მიზანს

წარმოადგენს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაზარალებული პირების ქონებრივი რესტიტუცია, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია. მიზნიდან გამომდინარე, კანონში გატარებულია შესაბამისი კომისიის პარიტეტულ პრინციპზე დაკომპლექტების მცდელობა. კომისია შედგება 9 წევრისგან - კონფლიქტის ქართული და ოსური მხარეებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის (სუბიექტების) მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან პარიტეტის პრინციპით დანიშნული წევრებისაგან. კომისია, როგორც კვაზი სასამართლო ორგანო, ერთგვარად ინტეგრირებულია სასამართლოს სისტემაში. ამავე დროს, იგი უფრო სწრაფ და ეფექტურ ორგანოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო. დღევანდელი მონაცემებით, კომისია ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციაც, შესაბამისად, გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება.

სოფელ ჯუღაანში თელავის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებულმა ისაუბრა კონფლიქტის დროს მიტოვებული ქონების ამჟამინდელ მდგომარეობაზე. მათ შორის, ერთ-ერთ პრობლემად დაასახელა იმ დროისათვის სიტყვიერი შეთანხმებით გაყიდული უძრავი ქონების სტატუსი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეთნიკურად ოსი მოქალაქეების სოფლიდან იძულებით წასვლისას, მათ არ გაუფორმებიათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მყიდველებთან, რომლებმაც მათგან ქონება შეიძინეს. შესაბამისად, ეს ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და ზოგიერთ შემთხვევაში, კვლავ არის დავის საგანი ძველი მეპატრონეების კანონიერი მემკვიდრეების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გაჩაღებული კონფლიქტის შედეგები დღესაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება არა მხოლოდ ახლანდელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არამედ იმ რეგიონებშიც, სადაც დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება.

ასეთ ვითარებაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ დროულად უნდა ამოქმედდეს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია და განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები, პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, რის საფუძველზეც შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება დაზარალებულთა ქონების რესტიტუცია, ან შესაბამისი კომპენსაცია. მნიშვნელოვანია, რომ რესტიტუციის და კომპენსაციის კანონში შევიდეს ცვლილება, რითაც საქართველოს მთავრობას დაევალება, პროაქტიურად დაიწყოს ეთნიკური ოსების მიერ მიტოვებული საკუთრებების აღწერა. ამასთან, აუცილებელია, შეიქმნას სტატისტიკა, რითაც მოხდება იდენტიფიცირება, თუ რა ქონების ნაწილია სახელმწიფოს საკუთრებაში და რამდენს ჰყავს ახლი მფლობელი/მესაკუთრე.